შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
ტრანსფერების განხორციელების შედეგად წარმოქმნილ
გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით

2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის:აფაქიძის ქუჩა #5,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი, საქართველო, 0160

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) ბუღალტრულ ბაზაზე 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავეხმაროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებული 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული კრედიტორული დავალიანება და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვაყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის მართვა

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესსს-ის კოდექსის 4ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის მართვის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და

პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები, რომლებიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2026 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სატრანსფერო ცხრილის მიღება;	1-ელ პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ სატრანსფერო ცხრილი ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში (2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით) კლუბში განხორციელებული ტრანსფერების (მათ შორის იჯარის) შესახებ, ასევე იმ ტრანსფერებზე, რომელთა მიმართაც 2026 წლის 31 აგვისტომდე კლუბს ვალდებულებები არ აქვს დაფარული. ცხრილი ასევე მოიცავს ინფორმაციას იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც კლუბში დარეგისტრირებისას თავისუფალი აგენტები იყვნენ.
2	ტრანსფერების ცხრილში ჯამური თანხის შედარება 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულების“ თანხასთან;	მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ ტრანსფერების ცხრილში ჯამური თანხა 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ედრება ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულების“ თანხას (კლუბს არ აქვს ვალდებულება 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით) გარდა საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის მიმართ ვალდებულებისა, რომელიც ცხრილში წარდგენილია, როგორც ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულება, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოკლევადიანი ანარიცხი.
3	ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.	მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, დავადგინეთ, რომ ტრანსფერების ცხრილი არითმეტიკულად ზუსტია.
4	ფეხბურთელების ყველა ტრანსფერის/იჯარის, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (ფეხბურთელის სახელი, გვარი, ტრანსფერის თარიღი, საზღაური).	მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, სრულად განვიხილეთ სატრანსფერო ხელშეკრულებები, რომლებიც მითითებულია ტრანსფერების ცხრილში და დავადგინეთ, რომ მოცემული ინფორმაცია სრულად მოიცავს ამავე პუნქტის მოთხოვნებს.
5	2026 წლის 31 აგვისტომდე განხორციელებული ტრანსფერებიდან წარმოქმნილი ვალდებულების შესახებ, ლიცენზიის მაძიებელთან გარკვევა, არაუგვიანეს ანგარიშის გამოცემის მომენტისათვის:	მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, ლიცენზიის მაძიებელთან გავარკვიეთ, რომ

	• დაფარულია თუ არა 2026 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ყველა ვალდებულება; და/ან	• ამ ანგარიშის თარიღისთვის კლუბს 2026 წლის 31 აგვისტომდე განხორციელებული ტრანსფერებიდან ერიცხება 20,000 ლარის ოდენობის ვალდებულება შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს მიმართ, რომელიც სადავოა (იხ. ქვემოთ).
	• მიღწეულია თუ არა შეთანხმება კრედიტორ კლუბებთან ვალდებულებების გადახდის გადავადების შესახებ (იმ ფეხბურთელების მითითებით, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულება); და/ან	• ვალდებულების გადახდის გადავადების შესახებ შეთანხმება კრედიტორ კლუბთან არ არსებობს.
	• ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი.	• 2024 წლის 29 მაისს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს წარმომადგენელმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტში შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის წინააღმდეგ წარადგინა საჩივარი. საჩივრით მოთხოვნილია ერთ-ერთი ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია. 2024 წლის 29 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველმა კომიტეტმა განიხილა ფინანსური დავა და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დავა და კლუბს დაეკისრა 20,000 ლარის ოდენობით წვრთნის და აღზრდის კომპენსაციის გადახდა. კლუბი არ დაეთანხმა და აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საფეხბურთო დავების განმხილველ ტრიბუნალში. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ კომპენსაცია არასწორად არის გაანგარიშებული. კლუბმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონსულტაციით და ფეხბურთელის პასპორტით გადაიანგარიშა ფეხბურთელის წვრთნის და აღზრდის კომპენსაცია, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-სთვის. კლუბის გადაანგარიშებით, „შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-სთვის გადასახდელი კომპენსაცია შეადგენს 1,750 ლარს. თუმცა, სფფ-ის მიერ დადგენილ ფორმაში და ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულება ასახულია კომიტეტის

ECOVIS®
GEORGIA AUDIT

		გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხით- 20,000 ლარის ოდენობით. ანგარიშის გამოცემის თარიღისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საფეხბურთო დავების განმხილველ ტრიბუნალში. • 2026 წლის 2 თებერვალს დაიწყო დავა უკრაინის მოქალაქის, მიროსლავ ზნოვენკოს, წვრთნის კომპენსაციასთან დაკავშირებით. FIFA-ს გენერალური სამდივნოს გადაწყვეტილებით, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი 1913“-ს დაეკისრა გამწვრთნელი კლუბების, MFC Nikopol-ისა (ნიკოპოლი) და SC Dnipro-1-ის (დნიპრო), სასარგებლოდ ჯამში 92,547.95 ევროს ოდენობის წვრთნის კომპენსაციის გადახდა. ანგარიშის გამოცემის თარიღისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია. აღნიშნული ვალდებულება არ არის ასახული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) მიერ დადგენილ ფორმაში.
6	გადახდების დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან (გადახდის თარიღი, თანხა).	მე-6 პუნქტთან მიმართებაში შევამოწმეთ ყველა ტრანსფერის/იჯარის გადასახადი, მათი საბანკო ტრანზაქციები და ბუღალტრული ჩანაწერები. შევადარეთ ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც სრულად მოიცავს ამავე პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 ოქტომბერი, 2026

თბილისი, საქართველო